ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4690399

ნომერი: AR1708110

თარიღი : 20.09.2019

გაცემის თარიღი : 27.09.2019

გაცნობის თარიღი : 01.10.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 80-82/2 , საბურთალოს ქუჩა N4, N6 , (ნაკვეთი N28/37);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გივი სეთურიძე პ/ნ 01024002509
- თბილისი, საბურთალოს #2

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა (საცხოვრებელი, კომერციული)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ვასილ რევიშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "სტუდიო რაკურსი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205258567

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: იბა "სააკაძე 2007"
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გივი სეთურიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024002509

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2199621
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 22.09.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 20/09/2019 წლის AR1708110 განცხადებით მომართა გივი სეთურიძემ და სამსახურის სამსახურის 2015 წლის 22 სექტემბრის №2199621 ბრძანების მე-6 პუნქტით განსაზღვრული პირობის შესრულებისათვის დადგენილი ვადის გაგრძელება მოითხოვა.
სამსახურის 2015 წლის 22 სექტემბრის №2199621
ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №80-82/2, საბურთალოს ქუჩა №4, №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.13.028.037) მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის (საცხოვრებელი, კომერციული) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აღნიშნული ბრძანების მე-6 პუნქტით დამკვეთს დაევალა 2017 წლის 22 დეკემბრამდე წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ბინების რაოდენობის შესაბამისად პარკინგების მოწყობის უზრუნველყოფა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით, ალტერნატიულ ახლო მდებარე ადგილას, რომელიც, ასევე, შეთანხმებული უნდა ყოფილიყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან. ამავე ბრძანების მე-7 პუნქტის თანახმად, მე-6 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, 2015 წლის 22 სექტემბრის №2199621 ბრძანება ითვლება ძალადაკარგულად. სამსახურის 2017 წლის 30 ნოემბრის №3710984 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „სააკაძე-2007-ის“ თავმჯდომარის, გივი სეთურიძის 2017 წლის 08 ნოემბრის №AR1555793 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილი იყო სამსახურის 2015 წლის 22 სექტემბრის №2199621 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ბრძანების მე-6 პუნქტით განსაზღვრული პირობის - პარკინგების მოწყობის ვადის გაგრძელება 2019 წლის 22 სექტემბრამდე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის 2018 წლის 20 თებერვლის №50 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 ნოემბრის №3710984 გადაწყვეტილება და სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის 2018 წლის 20 თებერვლის №50 ბრძანების აღსრულების ფარგლებში, სამსახურის 21.05.2018 წლის №3972831 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2015 წლის 22 სექტემბრის №2199621 ბრძანებაში და ბრძანების მე-6 პუნქტით დამკვეთს დაევალა 2019 წლის 22 სექტემბრამდე, მაგრამ, არაუგვიანეს შენობა-ნაგებობის ექპლუატაციაში მიღებამდე, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ბინების რაოდენობის შესაბამისად უზრუნველყოს საზოგადოებრივი პარკინგების (რომელიც ასევე საჭიროა შეთანხმებული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან) მოწყობა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა.
ასევე, ბრძანებას 2015 წლის 22 სექტემბრის №2199621 დაემატა მე-6^1 პუნქტი, რომლითაც დამკვეთს დაევალა დამკვეთს 6 (ექვსი) თვის ვადაში წარმოედგინა მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება.
2017 წლის 30 ნოემბრის №3710984 და 2015 წლის 22 სექტემბრის №2199621 ბრძანებების შესაბამისად, 6 (ექვსი) თვის ვადაში აღნიშნული ხელშეკრულების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, 2015 წლის 22 სექტემბრის №2199621 ჩაითვლებოდა ძალადაკარგულად.
ვინაიდან, დადგენილ ვადაში დამკვეთის მიერ არ მომხდარა შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა სამსახურისთვის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურის 2015 წლის 22 სექტემბრის №2199621 ბრძანება ჩაითვალა ძალადაკარგულად.
აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს 20/09/2019 წლის

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.